ქ. თბილისში ანნა პოლიტკოვსკაიას ქ. N31-ში სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ახალი შენობის ელექტრო-მექანიკური სისტემების საინჟინრო სამუშაოების (II ეტაპი - გათბობა-გაგრილება-ვენტილაციის, ხანძარსაწინააღმდეგო, წყალმომარაგება-კანალიზაციის, წყალარინებისა და ელექტრომომარაგება-სუსტი დენების სიტემები, ლიფტების მიწოდება-მონტაჟი) სახელმწიფო შესყიდვა.

ელექტრონული ტენდერის*

*-ელექტრონული ტენდერი (ელექტრონული ვაჭრობის დაფარული მონაცემებით, დამატებითი რაუნდების გარეშე აბრევიატურით NAT)

ს ა ტ ე ნ დ ე რ ო დ ო კ უ მ ე ნ ტ ა ც ი ა

(წინამდებარე დოკუმენტაციაში მოცემულია შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში ელექტრონულად შესავსები სატენდერო პირობები)

კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი:45300000 - სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები

კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი: 45300000 - სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები; 45310000 - ელექტროსამონტაჟო სამუშაოები; 45311000 - ელექტროგაყვანილობებისა და ელექტრომოწყობილობების მონტაჟი; 45312100 - სახანძრო სიგნალიზაციის სისტემის მონტაჟი; 45312200 - დაცვითი სიგნალიზაციის სისტემის მონტაჟი; 45313100 - ლიფტების მონტაჟი; 45314000 - სატელეკომუნიკაციო მოწყობილობების მონტაჟი; 45314300 - საკაბელო ინფრასტრუქტურის მონტაჟი; 45315000 - გათბობისა და შენობის სხვა ელექტრომოწყობილობების სამონტაჟო სამუშაოები; 45316000 - განათებისა და სასიგნალო/სიგნალიზაციის სისტემების მონტაჟი; 45316100 - გარეგანათების მოწყობილობების მონტაჟი; 45317000 - სხვა ელექტროსამონტაჟო სამუშაოები; 45320000 - საიზოლაციო სამუშაოები; 45330000 - მილგაყვანილობისა და სანტექნიკის მონტაჟი; 45350000 - სამონტაჟო სამუშაოები; 45351000 - საინჟინრო-სამონტაჟო სამუშაოები;

თბილისი
2022 წელი

2.1 ტექნიკური მოთხოვნები, როგორც იურიდიული ასევე ფიზიკური პირებისათვის:

პრეტენდენტმა ტექნიკური დოკუმენტაციის სახით სისტემაში უნდა ატვირთოს შემდეგი დოკუმენტები და ინფორმაცია:

ა) პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი უნდა იყოს შესასრულებელი სამუშაოების დეტალური ხარჯთაღრიცხვა* *(იხ. ხარჯთაღრიცხვა /Excel-ის ფორმატში/ ხარჯთაღრიცხვაში საერთო ფასი გამოსახული უნდა იყოს შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯის და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების გათვალისწინებით;*

**- პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნას ხარჯთაღრიცხვა Excel-ის ფორმატებში.*

- პრეტენდენტმა ხარჯთაღრიცხვა უნდა შეადგინოს და მასში მოცემული პუნქტები განაფასოს საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის N55 დადგენილებით დამტკიცებული ,,ტექნიკური რეგლამენტის - ,,სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმიური მოგების განსაზღვრის წესის'' შესაბამისად.
- <u>გაითვალისწინეთ, რომ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილ ხარჯთაღრიცხვაში დაუშვებელია სამუშაოების დასახელების, განზომილებისა და რაოდენობების ცვლილება.</u>
- ხარჯთაღრიცხვაში გაუთვალისწინებელი ხარჯები წარმოდგენილი უნდა იყოს **5%-ის** ოდენობით, გაუთვალიწინებელი ხარჯებისათვის განსაზღვრული პროცენტული მაჩვენებლის შეცვლა დაუშვებელია. გაუთვალისწინებელი თანხების გამოყენება მოხდება მხოლოდ შემსყიდველის ნებართვით, მისივე ინიციატივით ან მიმწოდებლის მიერ დასაბუთებული და არგუმენტირებული წინადადების განხილვისა და შეთანხმების საფუძველზე, შემსყიდველის უფლებამოსილი პირის თანხმობისა და სათანადო გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში.
- **სატენდერო კომისიის მიერ პრეტენდენტი დისკვალიფიცირებული იქნება ტენდერიდან (დაზუსტების გარეშე) ხარჯთაღრიცხვის წარმოუდგენლობის შემთხვევაში;**

ბ) პრეტენდეტის გამოცდილებასთან დაკავშირებული მოთხოვნები

1. **ზოგადი გამოცდილება**

1.1 პრეტენდენტს 2017 წლის 1 იანვრიდან 2022 წლის 31 იანვრამდე პერიოდში ყოველწლიურად, თოთოეულ წელს ცალკ-ცალკე, შესრულებული უნდა ჰქონდეს დღგ-ს ჩათვლით, საოფისე ანდა **საზოგადოებრივი დანიშნულების შენობა-ნაგებობის (რომელიც უნდა იყოს დასრულებული)** არანაკლებ 3,000.000 (სამი მილიონი) ლარის ღირებულების ანალოგიური (ანალოგიური ტიპის სამშენებლო პროექტებად ჩაითვლება საზოგადოებრივი დანიშნულების შენობებების - საოფისე შენობები, ბიზნეს და სავაჭრო ცენტრები, სასტუმროები, სამედიცინო ან/და სამკურნალო დანიშნულების შენობები) ელექტრო-მექანიკური სისტემების საინჟინრო სამუშაოები (გათბობა-გაგრილება-ვენტილაციის, ხანძარსაწინააღმდეგო, წყალმომარაგება-კანალიზაციის, წყალარინებისა და ელექტრომომარაგება-სუსტი დენების სიტემები, ლიფტების მიწოდება-მონტაჟი). აღნიშნულ საინჟინრო სამუშაოებში არ იგულისხმება <u>**გვირაბების, გზების ხიდების, ხაზოვანი ნაგებობების და ინფრასტრუქტურულ მშენებლობასთან დაკავშირებული საინჟინრო სამუშაოები**</u>

1.2 2017 წლის 01 იანვრიდან 2022 წლის 31 იანვრმადე პერიოდში, პრეტენდენტს შესრულებული უნდა ქონდეს ანალოგიური (ანალოგიური ტიპის სამშენებლო პროექტებად ჩაითვლება საოფისე ანდა საზოგადოებრივი დანიშნულების შენობებების - საოფისე შენობები, ბიზნეს და სავაჭრო ცენტრები, სასტუმროები, სამედიცინო და/ან სამკურნალო დანიშნულების შენობები) ტიპის ელექტრო-მექანიკური სისტემების საინჟინრო სამუშაოები (გათბობა-გაგრილება-ვენტილაციის, ხანძარსაწინააღმდეგო, წყალმომარაგება-კანალიზაციის, წყალარინებისა და ელექტრომომარაგება-სუსტი დენების სიტემები, ლიფტების მიწოდება-მონტაჟი), რომლის ჯამური ღირებულება უნდა შეადგენდეს არანაკლებ 20 (ოცი მილიონი) მილიონი ლარს დღგ-ს ჩათვლით. ყველა წარმოდგენილი ობიექტი უნდა იყოს საზოგადოებრივი დანიშნულების და უნდა იყოს დასრულებული. მხედველობაში არ მიიღება <u>**გვირაბების, გზების ხიდების, ხაზოვანი ნაგებობების და ინფრასტრუქტურულ მშენებლობასთან დაკავშირებული საინჟინრო სამუშაოები**</u> მიმდინარე და შეწყვეტილი ხელშეკრულებები გამოცდილებაში არ ჩაითვლება.

2. **სპეციალური გამოცდილება**

2.1 პრეტენდენტს 2017 წლის 1 იანვრიდან 2022 წლის 31 იანვრმადე პერიოდში უნდა გააჩნდეს: ერთი ხელშეკრულების ფარგლებში საოფისე, საზოგადოებრივი დანიშნულების შენობებების - (საოფისე შენობები, ბიზნეს და სავაჭრო ცენტრები, სასტუმროები, სამედიცინო და/ან სამკურნალო დანიშნულების

შენობები) ტიპის ელექტრო-მექანიკური სისტემების საინჟინრო სამუშაოები (გათბობა-გაგრილება ვენტილაციის, ხანძარსაწინააღმდეგო, წყალმომარაგება-კანალიზაციის, წყალარინებისა და ელექტრომომარაგება-სუსტი დენების სიტემები, ლიფტების მიწოდება-მონტაჟი), სამუშაოების შესრულების გამოცდილება, რომლის ღირებულება უნდა იყოს სულ მცირე 6 000 000 (ექვსი მილიონი) ლარი დღგ-ს ჩათვლით. აღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში შესრულებული სამუშაოები უნდა მოიცავდეს ელექტრო-მექანიკური სისტემების საინჟინრო სამუშაოებს, გათბობა გაგრილება ვენტილაციის, ხანძარსაწინააღმდეგო, წყალმომარაგება კანალიზაციის, წყალარინებისა და ელექტრომომარაგება სუსტი დენების სიტემები სამუშაოებს.

2.2 ერთი პროექტის (საოფისე ანდა საზოგადოებრივი დანიშნულების) ფარგლებში შესრულებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ 5,000 კვ.მ სამშენებლო ფართის ელექტრო-მექანიკური სისტემების საინჟინრო სამუშაოები, გათბობა-გაგრილება-ვენტილაციის, ხანძარსაწინააღმდეგო, წყალმომარაგება-კანალიზაციის, წყალარინებისა და ელექტრომომარაგება-სუსტი დენების სიტემების სამუშაოები.

პრეტენდენტის გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენის პირობები: პრეტენდენტმა სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით უნდა წარმოადგინოს სამუშაოების წარმოების შესახებ გაფორმებული ხელშეკრულება და ამ ხელშეკრულების ფარგლებში სამუშაოების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი (შესრულებული სამუშაოების უწყისი ე.წ. ფორმა N2, მიღება-ჩაბარების აქტები, ა/ფაქტურები).

1. იმ შემთხვევაში, თუ სამუშაოების შესყიდვა განხორციელებული არის სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის გამოყენებით და სამუშაოების შესყიდვისა და მიწოდების დამადასტურებელი დოკუმენტები ატვირთული არის სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში, შესაძლებელია წარმოდგენილი იყოს ინფორმაცია სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში შესყიდვის ნომრის (SPA, DAP; NAT, DEP; MEP; TEP; GEO: CMR ან სხვა არსებობის შემთხვევაში) შესახებ.

2. იმ შემთხვევაში, თუ სამუშაოების შესყიდვა განხორციელებული არის სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის გამოყენების გარეშე, წარმოდგენილი უნდა იყო სამუშაოების შესრულების შესახებ გაფორმებული ხელშეკრულება და სამუშაოების მიწოდების დამადასტურებელი დოკუმენტები:

2.1. ხელშეკრულება წარმოდგენილი უნდა იყოს შესასრულებელი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვასთან ერთად;

2.2. შესასრულებელი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვის ცვლილების შემთხვევაში, წარმოდგენლი უნდა იყოს საბოლოო სახის (კორექტირებული) ხარჯთაღრიცხვა, დამკვეთის მიერ დამოწმებული შესაბამისი ცვლილების (შეთანხმების აქტი) დოკუმენტთან ერთად;

2.3. წარმოდგენილი უნდა იყოს ხელშეკრულების ფარგლებში შესრულებული სამუშაოების უწყის(ებ)ი (ე.წ. ფორმა N2);

2.4. ფორმა N2 არის პირობითი დოკუმენტი, შესაბამისად ფორმა N2-ის ნაცვლად შესაძლებელია წარმოდგენილი იყოს მოთხოვნილი ინფორმაციის მომცველი და შესრულების დამადასტურებელი ნებისმიერი დოკუმენტი (მიღება-ჩაბარების აქტები, ა/ფაქტურები).

2.5. ხელშეკრულებითა და მისი დანართით (შესასრულებელი სამუშაოების საბოლოო სახის ხარჯთაღრიცხვა) წარმოდგენილი ხელშეკრულების ფარგლებში შესრულებული სამუშაოების უწყისებით (ე.წ. ფორმა N2) უნდა იყოს შესაძლებელი ობიექტის დასახელებისა და შესრულებული სამუშაოების ურთიერთკავშირის დადგენა, ამასთანავე შესრულებული სამუშაოების უწყისებით (ე.წ. ფორმა N2) გათვალისწინებული სამუშაოების დასახელება, მოცულობა და ფასები არსებითად არ უნდა განსხვავდებოდეს ხელშეკრულებითა და მისი დანართით (შესასრულებელი სამუშაოების საბოლოო სახის ხარჯთაღრიცხვა) გათვალისწინებული შესაბამისი მონაცემებისგან;
2.6. საზღვარგარეთ შესრულებული სამუშაოების გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული დოკუმენტები დამოწმებული უნდა იყოს სათანადო წესით: ლეგალიზებული და/ან აპოსტილით დამოწმებული.
2.7. გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტების შეფასებისას მხედველობაში მიიღება უშუალოდ პრეტენდენტის გამოცდილება, ქვეკონტრაქტი და ქვეკონტრაქტორის გამოცდილების შეფასება პრეტენდენტის გამოცდილებასთან ერთად არ განხორციელდება.
წარმოდგენილი ხელშეკრულებით გათვალისწინებული დამკვეთის მიერ გაცემული წერილობითი ინფორმაცია ან სარეკომენდაციო წერილი, რომლითაც უნდა დგინდებოდეს, რომ შემსრულებელს წარმოდგენილი ხელშეკრულების ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებები მიწოდებული აქვს ხელშეკრულების პირობების არსებითი დარღვევის გარეშე (შემსრულებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში წერილობითი ინფორმაცია უნდა მოიცავდეს ცნობებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული თითოული დარღვეული ვალდებულების შესახებ და ინფორმაციას თუ რატომ მიიჩნევს დამკვეთი ვალდებულების დარღვევას არაარსებითად).
იმ შემთხვევაში თუ წარმოდგენილი ხელშეკრულების ფარგლებში სამუშაოების მიწოდება განხორციელდა ქვეკონტრაქტის საფუძველზე, ასეთ შემთხვევაში ქვეკონტრაქტთან ერთად წარმოდგენილი უნდა იყოს ძირითადი ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც გაფორმდა ქვეკონტრაქტი. ხოლო, დამკვეთის წერილი სავალდებულოდ გაცემული უნდა იყოს ძირითადი ხელშეკრულებით გათვალისწინებული დამკვეთის მიერ, რომელიც ასევე გარდა ზემოთ მოცემული ინფორმაციისა დამატებით უნდა მოიცავდეს ინფორმაციას, რომ ქვეკონტრაქტი შეთანხმებული იყო ობიექტის დამკვეთთან.

შენიშვნა:

დასრულებულ ხელშეკრულებაში იგულისხმება, რომ აღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში პრეტენდენტს ან ამხანაგობის წევრს სრულად აქვს შესრულებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები და აღნიშნული დადასტურებულია დამკვეთის მიერ.
პრეტენდენტმა მოთხოვნილი გამოცდილების დადასტურების მიზნით უნდა წარმოადგინოს საინჟინრო სამუშაოების მიწოდებაზე გაფორმებული ხელშეკრულებების რეესტრი, რომელიც ატვირთულია შესაბამის პუნქტში;
პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნას რეესტრში მოყვანილი ხელშეკრულებების ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულებების ასლები, წარმოდგენილი ხელშეკრულებების ფარგლებში შესრულებული სამუშაოების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლები (მიღება-ჩაბარების აქტი ან სამუშაოს შესრულების დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი), რომელსაც უნდა დაერთოს შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა;

<u>გ) პრეტენდენტის პერსონალის გამოცდილებასთან დაკავშირებული მოთხოვნები</u>

1. პრეტენდენტის პერსონალის შესახებ ინფორმაციის მოთხოვნის მიზანია იმის შეფასება და განსაზღვრა, ჰყავს თუ არა პრეტენდენტს საჭირო ოდენობით სათანადო კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე პერსონალი, რაც აუცილებელია ამ სატენდერო დოკუმენტაციით შესასრულებელი სამუშაოს დროულად, სრულყოფილად და ხარისხიანად განხორციელებისათვის.

2. პერსონალის ვინაობა: პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია იმ ძირითად პერსონალზე, რომელიც დაკავებული იქნება ამ ტენდერით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულებაზე, კერძოდ:

- ვინც გაწევს ხელმძღვანელობას, კოორდინაციას თუ ზედამხედველობას;
- ვინც იღებს ტექნიკურ გადაწყვეტილებას;
- ვინც უშუალოდ ასრულებს სამუშაოს მნიშვნელოვან ნაწილს.

3. ინფორმაციის სახე: პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია ზემოაღნიშნული პერსონალის როგორც კვალიფიკაციის, ისე გამოცდილების შესახებ.

4. კვალიფიკაცია: პერსონალს უნდა ჰქონდეს იმ საქმიანობის შესაბამისი კვალიფიკაცია, რომელიც მან უნდა შეასრულოს ამ ტენდერით გათვალისწინებული სამუშაოს განხორციელებისას;

5. ზოგადი გამოცდილება: პერსონალს უნდა ჰქონდეს ზოგადი, თავისი კვალიფიკაციის შესაბამისი პროფესიული საქმიანობის გამოცდილება;

6. ზოგადი გამოცდილების პერიოდი: წინა პუნქტში მითითებული, ზოგადი პროფესიული გამოცდილება პერსონალს უნდა ჰქონდეს არანაკლებ იმ ოდენობით, როგორც ეს მითითებულია ქვემოთ მოცემულ ცხრილში თითოეული პოზიციისათვის.

7. სპეციალური გამოცდილება: პერსონალს მათ შორის უნდა ჰქონდეს იმ საქმიანობის ანალოგიური / მსგავსი (როგორც შინაარსით, ისე მოცულობით და სირთულით) სამუშაო გამოცდილება, როგორიც მან უნდა შეასრულოს ამ ტენდერით გათვალისწინებული სამუშაოს განხორციელებისას;

8. დამადასტურებელი დოკუმენტები:

- პერსონალის კვალიფიკაციის დასადასტურებლად პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს პერსონალის დიპლომების, (არსებობის შემთხვევაში სერტიფიკატები) ასლები;
- პერსონალის როგორც ზოგადი, ისე სპეციალური გამოცდილების დასადასტურებლად წარმოდგენილი უნდა იყოს, თითოეული მათგანის რეზიუმე - ე.წ. CV, სადაც სრულყოფილად იქნება მოცემული ინფორმაცია პერსონალის გამოცდილების შინაარსზე (არამხოლოდ სამუშაო ადგილის ან პროექტის და თანამდებობის დასახელება, არამედ ამ პერსონალის მიერ გაწეული სამუშაოს მოკლე აღწერა).
- დოკუმენტები წარმოდგენილი უნდა იყოს პერსონალის თითოეულ წარმომადგენელზე.
- გარდა იმ ძირითადი სპეციალისტებისა, რომელზეც განსაზღვრულია საკვალიფიკაციო მოთხოვნები, პრეტენდენტმა უნდა წარადგინოს პროფესიონალთა გუნდი, ტექნიკურ წინადადებაში განსაზღვრული ამოცანების შესასრულებლად პროექტის განხორციელებისას პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი პროფესიონალთა გუნდის წევრების პოზიცია და რაოდენობა ასახული უნდა იყოს პროექტის მართვის ორგანოგრამაში.
- პრეტენდენტმა უნდა უზრუნველყოს შესაბამისი კვალიფიკაციის ექსპერტების წარდგენა მინიმალურ დროში.
- პროექტის მართვის სამუშაო ენა არის ქართული. მიმწოდებლის მიერ შერჩეული ყველა ექსპერტი უნდა ფლობდეს ქართულ ენას ან/და საჭიროების შემთხვევაში მიმწოდებელმა თავისი ხარჯით უნდა უზრუნველყოს თარჯიმანის მომსახურება.
- პროექტში შეიძლება დასაქმდეს ნებისმიერი ქვეყნის მოქალაქე თუ ეს არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ რეგულაციებს

9. ამ ტენდერისათვის საჭირო პერსონალის მინიმალური აუცილებელი სახეობა, ოდენობა და გამოცდილება: (ცხრილი N1)

N	პერსონალი	ზოგადი პროფესიული გამოცდილება არანაკლებ:	რაოდეობა	დამატებითი მოთხოვნები
1	პროექტის მენეჯერი	10 წელი	1	2017 წლის 1 იანვრიდან 2022 წლის 31 იანვრამდე პერიოდში სპეციალისტს შესრულებული უნდა ჰქონდეს პროექტის მენეჯერის ფუნქციები და შესაბამისი საინჟინრო სამუშაოები: არანაკლებ ერთი საზოგადოებრივი დანიშნულების შენობის, საოფისე შენობის, ბიზნეს-ცენტრის, სასტუმროს ან სავაჭრო ცენტრის, სამედიცინო ან/და სამკურნალო დანიშნულების შენობების მშენებლობის სრული პროცესი (საინჟინრო სისტემების სამუშაოების დაწყებიდან სრულად დამთავრებამდე), მშენებლობის სამუშაო ღირებულებით **დღგ-ის ჩათვლით არანაკლებ ათი მილიონი (10,000,000) ლარი**
2	ინჟინერი - გათბობა-ვენტილაცია-კონდინცირების სფეროში	7 წელი	1	2017 წლის 1 იანვრიდან 2022 წლის 31 იანვრამდე პერიოდში სპეციალისტს შესრულებული უნდა ჰქონდეს გათბობა-ვენტილაცია-კონდინცირების სფეროში პროექტის საინჟინრო სამუშაოები: არანაკლებ ერთი საზოგადოებრივი დანიშნულების შენობის, საოფისე შენობის, ბიზნეს-ცენტრის, სასტუმროს ან სავაჭრო ცენტრის, სამედიცინო ან/და სამკურნალო დანიშნულების შენობების მშენებლობის სრული პროცესი (საინჟინრო სისტემების სამუშაოების დაწყებიდან სრულად დამთავრებამდე), მშენებლობის სამუშაო ღირებულებით **დღგ-ის ჩათვლით არანაკლებ სამი მილიონი (3,000,000) ლარი**
3	ინჟინერი - წყალმომარაგება-სანიაღვრე-კანალიზაციის სფეროში	7 წელი	1	2017 წლის 1 იანვრიდან 2022 წლის 31 იანვრამდე პერიოდში სპეციალისტს შესრულებული უნდა ჰქონდეს წყალმომარაგება-სანიაღვრე-კანალიზაციის სფეროში პროექტის საინჟინო სამუშაოები: არანაკლებ ერთი საზოგადოებრივი დანიშნულების შენობის, საოფისე შენობის, ბიზნეს-ცენტრის, სასტუმროს ან სავაჭრო ცენტრის, სამედიცინო ან/და სამკურნალო დანიშნულების შენობების მშენებლობის სრული პროცესი (საინჟინრო სისტემების სამუშაოების დაწყებიდან სრულად დამთავრებამდე), მშენებლობის სამუშაო ღირებულებით **დღგ-ის ჩათვლით არანაკლებ ერთი მილიონი (1,000,000) ლარი**

4	ინჟინერ-ელექტრიკოსი	5 წელი	1	2017 წლის 1 იანვრიდან 2022 წლის 31 იანვრამდე პერიოდში სპეციალისტს შესრულებული უნდა ჰქონდეს პროექტის ელექტრო-მექნიკური სისტემების საინჟინო სამუშაოები: არანაკლებ ერთი საზოგადოებრივი დანიშნულების შენობის, საოფისე შენობის, ბიზნეს-ცენტრის, სასტუმროს ან სავაჭრო ცენტრის, სამედიცინო ან/და სამკურნალო დანიშნულების შენობების მშენებლობის სრული პროცესი (საინჟინრო სისტემების სამუშაოების დაწყებიდან სრულად დამთავრებამდე), მშენებლობის სამუშაო ღირებულებით **დღგ-ის ჩათვლით არანაკლებ ერთი მილიონი (1,000,000) ლარი**
5	ხარისხის უზრუნველყოფისა და კონტროლის ზედამხედველი	5 წელი	1	2017 წლის 1 იანვრიდან 2022 წლის 31 იანვრამდე პერიოდში სპეციალისტს შესრულებული უნდა ჰქონდეს პროექტის სამშენებლო სამუშაოების ხარისხის უზრუნველყოფისა და კონტროლის ზედამხედველობა: არანაკლებ ერთი საზოგადოებრივი დანიშნულების შენობის, საოფისე შენობის, ბიზნეს-ცენტრის, სასტუმროს ან სავაჭრო ცენტრის, სამედიცინო ან/და სამკურნალო დანიშნულების შენობების მშენებლობის სრული პროცესი (საინჟინრო სისტემების სამუშაოების დაწყებიდან სრულად დამთავრებამდე), მშენებლობის სამუშაო ღირებულებით **დღგ-ის ჩათვლით არანაკლებ სამი მილიონი (3,000,000) ლარი**

პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ცხრილში მითითებულ ძირითად სპეცილისტებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება ან წინარე შეთანხმება (თითოეულ სპეციალისტთან ცალ-ცალკე) და/ან სხვა შესაბამისი დოკუმენტი, იმის დასადასტურებლად, რომ სამუშაოების განხორციელების დროს პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სპეციალისტ(ებ)ი განახორციელებენ შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებულ შესაბამის სამუშაოს თავისი კომპეტენციის და სპეციალიზაციის ფარგლებში. ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ მიმწოდებლის მიერ სპეციალისტის ცვლილება (ასეთის არსებობის/აუცილებლობის შემთხვევაში) უნდა განხორციელდეს მინიმუმ ანალოგიური გამოცდილების მქონე სპეციალისტით და წინასწარ შეთანხმდეს წერილობითი ფორმით შემსყიდველთან.

პრეტენდენტმა თითოეულ ძირითად სპეციალისტზე უნდა წარმოადგინოს მოთხოვნილი გამოცდილების ამსახველი წერილობითი ცნობა, გაცემული შესაბამისი დამკვეთის/შემსყიდველის მიერ. ცნობა უნდა მოიცავდეს ინფორმაციას სპეციალისტის მიერ მომსახურების გაწევის შესახებ, ობიექტის დასახელებას, მდებარეობას, პროექტის განხორციელების ვადებს, სპეციალისტის ზედამხედველობის ქვეშ განხორციელებული სამუშაოების ღირებულებას. აღნიშნული ცნობები გაცემული უნდა იყოს არაუმეტეს 6 (ექვსი) თვით ადრე ტენდერის გამოცხადების თარიღამდე.

<u>შენიშვნა 1:</u> ზემოთ ჩამოთვლილია პერსონალის მხოლოდ ის ნაწილი, რომლის შესახებაც შემსყიდველს სურს მიიღოს დეტალური საკვალუფიკაციო ინფორმაცია. ბუნებრივია, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ზემოთ მოცემულ ცხრილზე აპელირებით მომწოდებელს შეუძლია არ ჰყავდეს სხვა სახეობის ანდა მეტი ოდენობის პერსონალი. პრეტენდენტი ვალდებულია საინჟინრო სამუშაოების სათანადო ტემპის ან/და ხარისხის უზრუნველსაყოფად

წარადგინოს სამშენებლო მოედანზე ის რესურსული შემადგენლობა, იმ კვალიფიკაცის და რაოდენობის პერსონალი, რომელიც უზრუნველყოფს პროექტის დროულად და დათქმულ.პარამეტრებში განხორციელებას.

10. ინფორმაცია პრეტენდენტის პერსონალის კვალიფიკაციის და გამოცდილების შესახებ - წარმოადგინეთ მოცემული ცხრილი N2 ნიმუშის შესაბამისად:

ინფორმაცია პრეტენდენტის პერსონალის კვალიფიკაციის და გამოცდილების შესახებ

პრეტენდენტის დასახელება: _____

N	სამუშაოების ფარგლებში დაკავებული პოზიცია/ ფუნქცია	სახელი და გვარი	პირადი ნომერი	განათლება	საერთო პროფესიული გამოცდილება (წელი)	ანალოგიურ/მსგავს პროექტებზე მუშაობის გამოცდილება (პროექტის დასახელება და მოკლე აღწერილობა)
1						
2						
3						
..						

პრეტენდენტის ხელმოწერა*:

პრეტენდენტის ხელმძღვანელი:

_____	_____	_____
თანამდებობა	**სახელი, გვარი**	**ხელმოწერა***

*** - ინფორმაცია/დოკუმენტი, უნდა იყოს ელექტრონულად ხელმოწერილი (შესაბამისად უფლებამოსილი პირის მიერ) ან/და დამოწმებული უნდა იყოს ელექტრონული შტამპით.**

დ) სამუშაოების შესრულების გეგმა-გრაფიკი.

- პრეტენდენტი ვალდებულია, წარმოადგინოს სამუშაოების შესულების გეგმა-გრაფიკი (III დონის დეტალიზაციით), რომელიც შესაბამისობაში უნდა იყოს სამუშაოების შესაბამის ეტაპებთან და ამასთან არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ტექნიკური დავალებით განსაზღვრულ სამუშაოების დასრულების საბოლო ვადას.

ე) ინფორმაცია წინასწარი საავანსო ანგარიშსწორების შესახებ (ანგარიშსწორების ვადები და პირობები დეტალურად იხ. ხელშეკრულების პროექტში იხ. პუნქტი 10 და პუნქტი 11):

მიმწოდებლის მოთხოვნის შემთხვევაში და წინასწარ გადასახდელი თანხის (ავანსი) მიზნობრიობის, ოდენობის და გაცემის პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში (იხ. ხელშეკრულების პუნქტი 11) შემსყიდველის მიერ ანგარიშსწორება განხორციელდება წინასწარ. კერძოდ, შემსყიდველი ავანსად გადაურიცხავს მიმწოდებელს ხელშეკრულების საერთო ღირებულების არაუმეტეს 10%-ს ხელშეკრულების მე-11 პუნქტით განსაზღვრული პირობების დაკმაყოფილების და მიმწოდებლის მიერ ავანსის სახით გადასახდელ თანხაზე საავანსო უპირობო და გამოუთხოვადი საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემდეგ, ასეთი გარანტიის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღეში - <u>მოთხოვნა საავანსო გადახდაზე უნდა იყოს აღნიშნული სატენდერო წინადადებაში, წინააღმდეგ შემთხვევაში ხელშეკრულების დადების დროს და მისი მოქმედების პერიოდში მოთხოვნა საავანსო გადახდაზე დაუშვებელია.</u>

<u>საავანსო გარანტიის ვადების და პირობების შესახებ ინფორმაცია, ასევე ანგარიშსწორებასთან დაკავშირებული ვადები და პირობები დეტალურად და სრულად იხილეთ ხელშეკრულების პროექტში იხ. პუნქტი 10 და პუნქტი 11).</u>

ვ) პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი უნდა იყოს ხელმძღვანელის და საკონტაქტო პირის სახელი და გვარი და საბანკო რეკვიზიტები - აღნიშნული ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს იმ შემთხვევაში, თუ პრეტენდენტის მიერ შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში პრეტენდენტის პროფილში არ არის და/ან არასრულად არის შევსებული შესაბამისი ინფორმაცია.

შესყიდვაში მონაწილე პირებმა (პრეტენდენტებმა) უნდა წარმოადგინონ შემდეგი სარეგისტრაციო/უფლებრივი მონაცემების ამსახველი დოკუმენტები:

სარეგისტრაციო/უფლებრივი მონაცემების ამსახველი დოკუმენტ(ებ)ი (ნუმერაცია მითითებულია სატენდერო დოკუმენტაციის კითხვარის შესაბამისად)

5.1.2 იურიდიული პირისთვის

პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნას:

(1) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, რომელშიც, პრეტენდენტის მიმართ, არ უნდა იყოს რეგისტრირებული ყადაღა/აკრძალვა ან/და საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება ან/და პრეტენდენტი არ უნდა იყოს რეგისტრირებული მოვალეთა რეესტრში.

(2) ცნობა ბიუჯეტის მიმართ დავალიანების არარსებობის შესახებ, საიდანაც უნდა იკვეთებოდეს, რომ პრეტენდენტს არ გააჩნია აღიარებული დავალიანება ბიუჯეტის მიმართ (გარდა იმ შემთხვევისა თუ პირს გაფორმებული აქვს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 292-ე მუხლით განსაზღვრული საგადასახადო შეთანხმება, სრულად იმ თანხის გადახდაზე, რომელიც უფიქსირდება აღიარებულ საგადასახადო დავალიანებაში, რაზედაც პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი საგადასახადო შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტი).

(3) იმ შემთხვევაში, თუ პრეტენდენტის მიერ წარდგენილ სარეგისტრაციო-უფლებრივი მონაცემების ამსახველ დოკუმენტებში რეგისტრირებულია სატენდერო დოკუმენტაციის 5.1.2 პუნქტის 1-ელ და მე-2 ქვეპუნქტებში მითითებული რომელიმე უფლებრივი შეზღუდვა, პრეტენდენტი ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.

5.1.3 ინდივიდუალური მეწარმისთვის

პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნას:

(1) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, რომელშიც, პრეტენდენტის მიმართ, არ უნდა იყოს რეგისტრირებული ყადაღა/აკრძალვა ან/და საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება ან/და პრეტენდენტი არ უნდა იყოს რეგისტრირებული მოვალეთა რეესტრში.

(2) ცნობა ბიუჯეტის მიმართ დავალიანების არარსებობის შესახებ, საიდანაც უნდა იკვეთებოდეს, რომ პრეტენდენტს არ გააჩნია აღიარებული დავალიანება ბიუჯეტის მიმართ (გარდა იმ შემთხვევისა თუ პირს გაფორმებული აქვს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 292-ე მუხლით განსაზღვრული საგადასახადო შეთანხმება, სრულად იმ თანხის გადახდაზე, რომელიც უფიქსირდება აღიარებულ საგადასახადო დავალიანებაში, რაზედაც პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი საგადასახადო შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტი).

(3) იმ შემთხვევაში, თუ პრეტენდენტის მიერ წარდგენილ სარეგისტრაციო-უფლებრივი მონაცემების ამსახველ დოკუმენტებში რეგისტრირებულია სატენდერო დოკუმენტაციის 5.1.3 პუნქტის 1-ელ და მე-2 ქვეპუნქტებში მითითებული რომელიმე უფლებრივი შეზღუდვა, პრეტენდენტი ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.

5.1.4 ფიზიკური პირისთვის

პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნას:

(1) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

(2) ცნობა შესაბამისი ადმინისტრაციული დაწესებულებიდან მოვალეთა რეესტრში პირის რეგისტრაციის არარსებობის შესახებ.

(3) იმ შემთხვევაში, თუ პრეტენდენტის მიერ წარდგენილ სარეგისტრაციო-უფლებრივი მონაცემების ამსახველ დოკუმენტში რეგისტრირებულია 5.1.4 პუნქტის მე-2 ქვეპუნქტში მითითებული უფლებრივი შეზღუდვა, პრეტენდენტი ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.

5.1.5 ამხანაგობისთვის

(1) სატენდერო დოკუმენტაციის 5.1.5. პუნქტით გათვალისწინებული სარეგისტრაციო/უფლებრივი მონაცემების ამსახველი დოკუმენტები შემსყიდველ ორგანიზაციას წარედგინება, როგორც ამხანაგობის, ასევე მისი თითოეული წევრის შესახებ, კერძოდ:

უშუალოდ ამხანაგობისთვის:

ა) შესაბამისად უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოდან გაცემული დოკუმენტ(ებ)ი რომლითაც უნდა დასტურდებოდეს, რომ პრეტენდენტის მიმართ, არ არის რეგისტრირებული ყადაღა/აკრძალვა ან/და საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება ან/და პრეტენდენტი არ არის რეგისტრირებული მოვალეთა რეესტრში.

ბ) ცნობა ბიუჯეტის მიმართ დავალიანების არარსებობის შესახებ, საიდანაც უნდა იკვეთებოდეს, რომ პრეტენდენტს არ გააჩნია აღიარებული დავალიანება ბიუჯეტის მიმართ (გარდა იმ შემთხვევისა, თუ პირს გაფორმებული აქვს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 292-ე მუხლით განსაზღვრული საგადასახადო შეთანხმება, სრულად იმ თანხის გადახდაზე, რომელიც უფიქსირდება აღიარებულ საგადასახადო დავალიანებაში, რაზედაც პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი საგადასახადო შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტი).

ამხანაგობის წევრებისთვის:

ა) ამონაწერები მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან; საიდანაც უნდა იკვეთებოდეს, რომ ამხანაგობის წევრების მიმართ არ არის რეგისტრირებული ყადაღა/აკრძალვა ან/და საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება ან/და აღნიშნული პირები არ არიან რეგისტრირებული მოვალეთა რეესტრში.

ბ) ცნობები ბიუჯეტის მიმართ დავალიანების არარსებობის შესახებ, საიდანაც უნდა იკვეთებოდეს, რომ ამხანაგობის მონაწილეებს არ გააჩნიათ აღიარებული დავალიანება ბიუჯეტის მიმართ (გარდა იმ შემთხვევისა თუ პირს გაფორმებული აქვს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 292-ე მუხლით განსაზღვრული საგადასახადო შეთანხმება, სრულად იმ თანხის გადახდაზე, რომელიც უფიქსირდება აღიარებულ საგადასახადო დავალიანებაში, რაზედაც წარმოდგენილი უნდა იქნას შესაბამისი საგადასახადო შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტი).

გ) იმ შემთხვევაში, თუ ამხანაგობის მონაწილე წარმოადგენს არარეზიდენტ პირს, მისი სარეგისტრაციო უფლებრივი მონაცემების ამსახველი დოკუმენტები წარმოდგენილი უნდა იქნას სატენდერო დოკუმენტაციის 5.1.6 პუნქტისა და მისი ქვეპუნქტების მოთხოვნათა მიხედვით, ხოლო, წარმომადგენლობის/ფილიალის შემთხვევაში - სატენდერო დოკუმენტაციის 5.1.7. პუნქტის მიხედვით.

(2) იმ შემთხვევაში, თუ ამხანაგობის, ან/და მისი რომელიმე წევრ(ებ)ის მიერ წარდგენილ სარეგისტრაციო-უფლებრივი მონაცემების ამსახველ დოკუმენტებში რეგისტრირებულია 5.1.5 პუნქტის შესაბამის ქვეპუნქტებში გათვალისწინებული რომელიმე უფლებრივი შეზღუდვა, პრეტენდენტი ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.

5.1.6 არარეზიდენტი პირისთვის

5.1.6 For a non-resident person

(1) არარეზიდენტი იურიდიული პირის შემთხვევაში, პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნას:

(1) In case of non-resident legal entity, the candidate shall provide:

ა) პრეტენდენტის, როგორც მეწარმე სუბიექტის რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი (მაგ.: ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან).

A) Document confirming registration of a candidate as a legal entity/ incorporation document (e.g. document, confirming registration of a legal entity from registrar/court etc.).

ბ) დოკუმენტ(ებ)ი, რომლითაც დადასტურდება, რომ პრეტენდენტის მიმართ, არ არის რეგისტრირებული ყადაღა/აკრძალვა ან/და საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება ან/და პრეტენდენტი არ არის რეგისტრირებული მოვალეთა რეესტრში.

B) Document (s) confirming that there is no mortgage and/or tax lien on the property of the candidate, or the candidate is not registered in the debtor's registrar.

გ) ცნობა ბიუჯეტის მიმართ დავალიანების არარსებობის შესახებ, საიდანაც უნდა იკვეთებოდეს, რომ პრეტენდენტს არ გააჩნია აღიარებული საგადასახადო დავალიანება ბიუჯეტის მიმართ.

C) A certificate on the absence of debt to the State budget, from which it should be clear that the candidate does not have a recognized tax liability towards the State budget.

დ) პრეტენდენტის სარეგისტრაციო-უფლებრივი მონაცემების ამსახველი დოკუმენტები გაცემული უნდა იყოს თავისი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო(ები)დან, დამოწმებული უნდა იყოს კანონმდებლობით დადგენილი წესით (ლეგალიზებული ან აპოსტილით დამოწმებული) და მათ თან უნდა ერთვოდეს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი. იმ შემთხვევაში, თუ არარეზიდენტი იურიდიული პირის რეგისტრაციის ქვეყანაში არ ხდება ზემოაღნიშნული რომელიმე მონაცემის/ინფორმაციის ამსახველი დოკუმენტ(ებ)ის გაცემა, აღნიშნულის დასადასტურებლად პრეტენდენტმა, უნდა წარმოადგინოს თავისი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოდან წერილობითი დოკუმენტი, რომელიც დამოწმებული უნდა იყოს კანონმდებლობით დადგენილი წესით (ლეგალიზებული ან აპოსტილით დამოწმებული) და მათ თან უნდა ერთვოდეს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

D) Documents reflecting the registration and legal data of the candidate shall be issued from the local authorized administrative body (s), certified according to its legislation (legalized or certified by apostille) and must be accompanied by notarized Georgian translation. In case the legislation of the country in which the candidate is registered, does not envisage administrative bodies to issue such kind of documents certifying abovementioned registration and/or legal data , the candidate should provide document from the administrative body which will confirm it, which must be certified in accordance with the legislation of Sit (legalized or apostilled) and they must be accompanied by notarized Georgian translation.

(2) არარეზიდენტი ფიზიკური პირის შემთხვევაში, პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნას:

(2) In case of non-resident physical person, the candidate should provide:

ა) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

a) Copy of the Identity Document/Passport;

ბ) ცნობა შესაბამისი ადმინისტრაციული დაწესებულებიდან მოვალეთა რეესტრში პირის რეგისტრაციის არარსებობის შესახებ.

b) A certificate from a relevant administrative institution/body confirming that the candidate is not registered in the debtor's registar.

(3) თუ პრეტენდენტის მიერ წარდგენილ სარეგისტრაციო-უფლებრივი მონაცემების ამსახველ დოკუმენტ(ებ)ში რეგისტრირებულია 5.1.6 პუნქტის შესაბამის ქვეპუნქტებში გათვალისწინებული რომელიმე უფლებრივი შეზღუდვა, პრეტენდენტი ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.

(3) If any of the restrictions referred to in paragraphs 5.1.6 is reflected in the documents provided by the candidate, the candidate is subject to disqualification.

5.1.7 წარმომადგენლობისთვის/ფილიალისთვის

იმ შემთხვევაში, თუ პრეტენდენტი არის უცხოური საწარმოს წარმომადგენელი/ფილიალი საქართველოში, იგი ვალდებულია წარმოადგინოს, როგორც თავისი, ასევე სათაო კომპანიის სარეგისტრაციო-უფლებრივი მონაცემების ამსახველი დოკუმენტები სატენდერო დოკუმენტაციის 5.1.2 პუნქტის (1) და (2) ქვეპუნქტებისა და სატენდერო დოკუმენტაციის 5.1.6.პუნქტის 1-ლი პუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად. ამასთან, თუ წარმომადგენლობის/ფილიალის ან/და სათაო კომპანიის სარეგისტრაციო-უფლებრივი მონაცემების ამსახველ დოკუმენტებში რეგისტრირებულია 5.1.2 ან/და 5.1.6 პუნქტების შესაბამის ქვეპუნქტებში გათვალისწინებული რომელიმე უფლებრივი შეზღუდვა, პრეტენდენტი ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.

შენიშვნა:

- **ტენდერთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნას ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მას უნდა დაერთოს სანოტარო წესით დამოწმებული ქართულენოვანი თარგმანი.**
- სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთული დოკუმენტები და/ან ინფორმაცია (რომელიც ითვალისწინებს ხელმოწერას) უნდა იქნას ელექტრონულად ხელმოწერილი შესაბამისად უფლებამოსილი პირის მიერ ან დამოწმებული კვალიფიციური ელექტრონული შტამპით, მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში.
- <u>შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში „მიმწოდებლად“ რეგისტრირებული არარეზიდენტი მომხმარებლები განთავისუფლებულები არიან „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებისაგან იხ. საქართველოს მთავრობის განკარგულება.</u>
- **<u>პრეტენდენტს არ აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული სატენდერო წინადადება.</u>**
- **<u>ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დადასტურება.</u>** ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანების მე-18 მუხლის 6-7 პუნქტების საფუძველზე. იმ შემთხვევაში, თუ ტენდერში ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ით ან მეტით დაბალია შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, <u>მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მოთხოვნიდან არაუმეტეს 14 (თოთხმეტი) სამუშაო დღეში დაასაბუთოს ფასწარმოქმნის ადეკვატურობა</u>, რაზეც პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნას სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს" ან სხვა აკრედიტირებული პირის მიერ გაცემული შესაბამისი დასკვნა (დასკვნასთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქნას დასკვნის გამცემი პირის აკრედიტაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი), რომელშიც ტექსტობრივად მკაფიოდ უნდა იკვეთებოდეს, 2017 წლის 26 სექტემბრის საქართველოს მთავრობის N439 დადგენილებით განსაზღვრული ტექნიკური რეგლამენტის - „სამშენებლო სამუშაოების ხარჯთაღრიცხვის ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დადგენის მეთოდიკის" მოთხოვნებთან დასკვნის შესაბამისობა. წარმოდგენილი დასკვნით უნდა დასტურდებოდეს პრეტენდენტის მიერ ატვირთულ სატენდერო ხარჯთაღრიცხვაში (სატენდერო წინადადების საბოლოო ფასის შესაბამისი ხარჯთაღრიცხვა) დაფიქსირებული ერთეულის ფასებით (თითოეულ ერთეულთან მიმართებით) და აგრეთვე ჯამური ღირებულებით ამავე ხარჯთაღრიცხვით განსაზღვრული სამუშაოების შესრულების შესაძლებლობა. ექსპერტიზის დასკვნას თან უნდა ერთვოდეს სატენდერო ხარჯთაღრიცხვა და

რესურსული მეთოდით შედგენილი ხარჯთაღრიცხვა. ექსპერტიზის დასკვნის წარმოუდგენლობა ან/და უარყოფითი დასკვნის წარმოდგენა გამოიწვევს შესაბამისი პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას.

- სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებებისა და დამატებითი ინფორმაციის მოთხოვნა ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მოდულის „კითხვა/პასუხის“ მეშვეობით შესაბამის ტენდერში „ტენდერი გამოცხადებულია“ სტატუსის მინიჭებიდან „წინადადების მიღება დასრულებულია“ სტატუსის მინიჭებამდე არაუგვიანეს 24 საათისა.
- ტენდერთან დაკავშირებული განმარტებისა და დამატებითი ინფორმაციის დაზუსტება/განმარტება განხორციელდება გონივრულ ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს 2 საათისა შესაბამის ტენდერში „წინადადების მიღება დასრულებულია“ სტატუსის მინიჭებამდე.
- ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე მიმწოდებლის მოთხოვნის შემთხვევაში შესაბამისი დაზუსტება/განმარტება განხორციელდება გონივრულ ვადაში, შესაბამის ტენდერში „შერჩევა/შეფასების“ სტატუსის მინიჭებიდან „ხელშეკრულება დადებულია“ სტატუსის მინიჭებამდე.

- სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებებისა და დამატებითი ინფორმაციის გაცემაზე უფლებამოსილი პირია სატენდერო კომისიის აპარატის წევრი - დავით მიქაცაძე, ტელ: 577 53 85 42 - შესყიდვების სამსახურის სპეციალისტი;

ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია:
ელექტრონულ ტენდერში გამოყენებულ იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი, საბანკო გარანტია, ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით, რომლის მოქმედების ვადა ორი თვით უნდა აღემატებოდეს შესყიდვის ობიექტის მიწოდების დასრულების საბოლოო ვადას. - ამასთან თუ ელექტრონულ ტენდერში ელექტრონული ვაჭრობის შედეგად გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%–ით ან მეტით დაბალი იქნება შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე გამოყენებული ხელშეკრულების შესრულების უზრუნვლყოფის გარანტიის ოდენობა განისაზღვრება ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10%-ის ოდენობით.

ტენდერში გამოიყენება ხარისხის გარანტია - პირობები იხილეთ ხელშეკრულების პროექტში (იხ. პუნქტი 8)

3. სამუშაოების შესრულების ვადები და ტექნიკური პირობები

3.1 **შესყიდვის ობიექტია:** ქ. თბილისში ანნა პოლიტკოვსკაიას ქ. N31-ში სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ახალი შენობის ელექტრო-მექანიკური სისტემების საინჟინრო სამუშაოების (II ეტაპი - გათბობა-გაგრილება-ვენტილაციის, ხანძარსაწინააღმდეგო, წყალმომარაგება-კანალიზაციის, წყალარინებისა და ელექტრომომარაგება-სუსტი დენების სიტემები, ლიფტების მიწოდება-მონტაჟი) სახელმწიფო შესყიდვა.

3.2 შესასრულებელი სამუშაოს ვადა:

1. სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები - 14 (თოთხმეტი) თვე (ხელშეკრულების გაფორმების დღიდან)* - აქედან საინჟინრო სისტემების მიწოდება, მონტაჟის და შესაბამისი სამუშაოების დასრულების ვადაა 12 თვე, ხოლო სისტემების ტესტირების და გაშვების პერიოდია - 2 (ორი) თვე **(რაზეც გამოყენებული იქნება ხარისხის გარანტია)**.**

* ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების საბოლოო დასრულება დასტურდება შემსყიდველის, ზედამხედველის და მიმწოდებლის მიერ ერთობლივად დამოწმებული სამუშაოების დასრულების აქტით, რომელიც საინჟინრო სისტემების სამუშაოების დამონტაჟების ნაწილში უნდა გაფორმდეს 12 (თორმეტი) თვის განმავლობაში, ხოლო საინჟინრო სისტემების ტესტირების დადებითი შედეგების შემდეგ არაუვიანეს 2 (ორი) თვის განმავლობაში გაფორმდება საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტი.

** **ხარისხის გარანტია** - გამოიყენება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ყველა (გათბობა-გაგრილება-ვენტილაციის, ხანძარსაწინააღმდეგო, წყალმომარაგება-კანალიზაციის, წყალარინებისა და ელექტრომომარაგება-სუსტი დენების სიტემები, ლიფტების მიწოდება-მონტაჟის) სამუშაოზე. ხარისხის გარანტიასთან დაკავშირებული დეტალური პირობები იხილეთ ხელშეკრულების პროექტში **(იხ. პუნქტი 8).**

3.3 მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს სამუშაოების დაწყება ხელშეკრულების გაფორმებიდან - 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში;

3.4 მიმწოდებელმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები უნდა განახორციელოს გეგმა-გრაფიკის შესაბამისად.

3.5 სამუშაოს შესრულების ადგილია: ქ. თბილისი ანნა პოლიტკოვსკაიას ქ. N31.

3.6 შესასრულებელი სამუშაოების ჩამონათვალი (ხარჯთაღრიცხვა) Excel-ის ფორმატში თან ერთვის სატენდერო დოკუმენტაციას.

3.7 საპროექტო და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია შესაბამის ფორმატში დაინტერესებულმა პირებმა შეუძლია იხილოს ქვემოთ მოცემულ ბმულზე:

https://drive.google.com/drive/folders/1e0Lrlx11E-zURYjs9AE01lWeHsBk3135?usp=sharing

3.8 შესყიდვის ობიექტის ტექნიკური პირობები და სპეციფიკაციები დეტალურად ასახულია ხელშეკრულების პროექტში.

3.9 შესრულებული სამუშაო და სამუშაოს შესრულებისას გამოყენებული მასალები (საქონელი) უნდა იყოს მაღალი ხარისხის რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს შესაბამის სტანდარტებს და ტექნიკურ ნორმებს და უნდა გააჩნდეს შესაბამისი ხარისხის სერთიფიკატი (მოთხოვნის შემთხვევაში მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი სერთიფიკატ(ებ)ის ასლები).

3.10 სამუშაოს შესრულების პარალელურად განახორციელდება შესყიდვის ობიექტის (შესრულებული სამუშაოს) შემოწმება, იმ შემთხვევაში თუ შესრულებულ სამუშაოს შემოწმების პროცესში აღმოჩნდება გარკვეული ხარვეზები და მიმწოდებელი ვერ/ან არ უზრუნველყოფს აღნიშნული ხარვეზის გამოსწორებას შემსყიდველი უფლებამოსილია უარი განაცხადოს შესყიდვის ობიექტის მიღებაზე და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე.

3.11 შესრულებული სამუშაოს შემოწმების პროცესში მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ხარვეზის აღმოფხვრა.

3.12 შესყიდვის ობიექტის ტექნიკური და ხარისხობრივი კონტროლი (შემოწმება) გაიმართება, მიმწოდებელი ორგანიზაციის წარმომადგენლ(ებ)ის თანდასწრებით.

3.13 შესრულებული სამუშაოების საგარანტიო ვადები და პირობები იხილეთ ხელშეკრულების პროექტში **(იხ. პუნქტი 9)**

3.14 ანგარიშსწორების ვადები და პირობები დეტალურად იხილეთ ხელშეკრულების პროექტში **(იხ.პუნქტი 10 და პუნქტი 11)**

3.15 სახელმწიფო შესყიდვის დაფინანსების წყაროა: 100% საკუთარი სახსრები (2022-2023 წლის სახსრები).

შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაა - 27 825 319 (ოცდაშვიდიმილიონ რვაასოცდახუთიათას სამასცხრამეტი) ლარი.

შენიშვნა: *შესყიდვის ობიექტის ტექნიკურ საკითხთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისგან: დავით მიქაცაძე, ტელ: 577 922 800 - შესყიდვების სამსახურის სპეციალისტი/სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების ზედამხედველი, სატენდერო კომისიის აპარატის წევრი.*

4. ხელშეკრულები პროექტი

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება N

ქ. თბილისი 2022 წელი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტს, რომელიც დაიდება ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად. წინამდებარე ხელშეკრულების პროექტის პირობების დაზუსტება განხორციელდება გამარჯვებული პრეტენდენტის სატენდერო წინადადების შესაბამისად, რომელიც ამავდროულად თანდართული ექნება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებელი (შემდგომში ,,შემსყიდველი") მისი გენერალური დირექტორის თინათინ ბერძენიშვილის სახით და მეორეს მხრივ, ——————————— (შემდგომში ,,მიმწოდებელი") მისი დირექტორის ——————————— სახით, სახელმწიფო შესყიდვების კანონის და პრეტენდენტის (მისი დასახელება) სატენდერო წინადადების საფუძველზე, ელქტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე: შემსყიდველმა ჩაატარა ელექტრონული ტენდერი (**NAT**----------) ქ. თბილისში ანა პოლიტკოვსკაიას ქ. N31-ში სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის" ახალი შენობის ელექტრო-მექანიკური სისტემების საინჟინრო სამუშაოების (II ეტაპი - გათბობა-გაგრილება-ვენტილაციის, ხანძარსაწინააღმდეგო, წყალმომარაგება-კანალიზაციის, წყალარინებისა და ელექტრომომარაგება-სუსტი დენების სიტემები, ლიფტების მიწოდება-მონტაჟი) სახელმწიფო შესყიდვაზე, (კლასიფიკატორის კოდი №45300000 - სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები) რომელშიც გამარჯვებულად მიჩნეულ იქნა მიმწოდებლის სატენდერო წინადადება დამიმწოდებელმა აიღო ვალდებულება მიაწოდოს შემსყიდველს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოები.

1. ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები ქმნიან მოცემულ ხელშეკურულებას და წარმოადგენენ მის განუყოფელ ნაწილს:

ა) წინამდებარე ხელშეკრულება;

ბ) პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება და სატენდერო წინდადებაზე თანდართული ყველა სხვა დოკუმენტი;

გ) სატენდერო დოკუმენტაცია.

2. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

2.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში - „ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით;

2.2. „ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

2.3. „დღე", „კვირა", „თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე;

2.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

2.5. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს შესყიდვის ობიექტის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში;

2.6. „ზედამხედველი" - შპს "სიემსი" - ელექტრონული ტენდერის (NAT200004243) შედეგად გამოვლენილი იურიდიული პირი, რომელიც უზრუნველყოფს შემსყიდველის ახალი შენობის (მის: ქ. თბილისი ანნა პოლიტკოვსკაიას ქ. N31) წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში განსახორციელებელი სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობას;

2.7. „შესასრულებელი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა"(შემდგომში„ხარჯთაღრიცხვა") - მიმწოდებლის მიერ ელექტრონული ტენდერის ფარგლებში წარმოდგენილი „შესასრულებელი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა" რომელიც თან ერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს;
2.8. „საპროექტო დოკუმენტაცია" (შემდგომში „პროექტი") - ელექტრონული ტენდერის შესაბამის ველში ატვირთული „საპროექტო დოკუმენტაცია";
2.9. „გეგმა-გრაფიკი" (შემდგომში „გეგმა-გრაფიკი") - მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად წარმოსადგენი „გეგმა-გრაფიკი", რომელიც შემდგომში წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3. ხელშეკრულების საგანი
3.1. ქ. თბილისში ანნა პოლიტკოვსკაიას ქ. N31-ში სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის" ახალი შენობის ელექტრო-მექანიკური სისტემების საინჟინრო სამუშაოების (II ეტაპი - გათბობა-გაგრილება-ვენტილაციის, ხანძარსაწინააღმდეგო, წყალმომარაგება-კანალიზაციის, წყალარინებისა და ელექტრომომარაგება-სუსტი დენების სიტემები, ლიფტების მიწოდება-მონტაჟი) სახელმწიფო შესყიდვა.
3.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის აღწერა მოცემულია სატენდერო წინადადებაში და სატენდერო დოკუმენტაციაში.

4. ხელშეკრულების ღირებულება
4.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს _____ლარს;
4.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებსა და გადასახდელებს, რომელთა გადახდაზე პასუხისგებელია მიმწოდებელი.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი
5.1 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს - შემსყიდველის სპეციალურად უფლებამოსილი თანამშრომელ(ებ)ი და შემსყიდველის მიერ შერჩეული შესაბამისი კომპეტენციის პირი - ზედამხედველი;
5.2.შემსყიდველი სპეციალურად უფლებამოსილი თანამშრომელ(ებ)ის და ზედამხედველის მეშვეობით ახდენს შესრულებული სამუშაოების ინსპექტირებას. ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განხორციელებაზე, სამუშაოს მიღება-ჩაბარებაზე შემსყიდველის უფლებამოსილი პირები არიან შემსყიდველის სპეციალურად უფლებამოსილი თანამშრომელ(ებ)ი და ზედამხედველი;
5.3 შემსყიდველს/ზედამხედველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვს ხელშეკრულების პირობების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიმდინარეობაზე;
5.4.მიმწოდებლის მიერ გასაწევ, ან უკვე გაწეულ სამუშაოებზე კონტროლი (ინსპექტირება) შემსყიდველის სპეციალურად უფლებამოსილი თათანმშრომელ(ებ)ის მიერ ხორციელდება სისტემატიურად შემსყიდველის შეხედულებისამებრ, ხოლო ზედამხედველის მიერ - შემსყიდველსა და ზედამხედველს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
5.5. მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოები შეასრულოს ჯეროვნად პროექტით, ხარჯთაღრიცხვით, ტექნიკური დავალებით, გეგმა-გრაფიკით, მოქმედი სამშენებლო ნორმებითა და წესებით განსაზღვრული პირობების დაცვით და შემსყიდველის და ზედამხედველის მოთხოვნების შესაბამისად;
5.6. ზედამხედველი ახორციელებს მშენებლობის პროცესის მიმდინარეობის სრულ ზედამხედველობას და ინსპექტირებას, კერძოდ:
5.6.1. შესრულებული სამუშაოების ხარისხის, მოცულობების, პროექტთან და ხარჯთაღრიცხვასთან შესაბამისობის შემოწმებასა და დადადასტურებას;
5.6.2. სამუშაოების წარმოების სახელშეკრულებო და გეგმა-გრაფიკით გათვალისწინებული ვადების დაცვის კონტროლს;

5.6.3. სამუშაოების წარმოების პროცესში სამშენებლო ნორმების, ტექნიკური პირობებისა და მოქმედი სამშენებლო კანონმდებლობის შესრულების დაცვის კონტროლს;
5.6.4. საინჟინრო, კომუნალური და ტექნოლოგიური სისტემების მონტაჟის ზედამხედველობას და გამოსაყენებელი მასალების პროექტთან და მოქმედ ნორმატიულ დოკუმენტაციასთან შესაბამისობის დამოწმებას;
5.6.5. ხელშეკრულებით განსაზღვრული ყველა პუნქტის, მათ შორის ხელშეკრულების დანართებით განსაზღვრულ პირობების სათანადო დაცვა;
5.6.6. მშენებლობის ნებართვით განსაზღვრული მშენებლობის ეტაპების დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტების (ოქმები, აქტები) შედგენაში მონაწილეობა;
5.6.7. სამშენებლო მასალებისა და შესრულების ხარისხის კონტროლს (ობიექტის სპეციფიკიდან გამომდინარე), პროექტით, ხარჯთაღრიცხვით და მსგავსი სამუშაოებისათვის დადგენილი სტანდარტებით განსაზღვრულ ნორმებთან შესაბამისობის დამოწმებას;
5.6.8. ისეთი სამუშაოებისა და კონსტრუქციული ელემენტების დამოწმებას, შეფასებას და შესაბამისი აქტების შედგენაში მონაწილეობის მიღებას, რომლებიც დაიფარებიან შემდგომი სამუშაოების შესრულების შედეგად;
5.6.9. სხვადასხვა სახის ლაბორატორიული კვლევების კონტროლს და შესაბამისი აქტების შედგენაში მონაწილეობას;
5.6.10. სამშენებლო ობიექტზე შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვაზე კონტროლს;
5.6.11. მიმწოდებლის მიერ მითითებებისა და მიწერილობების, აგრეთვე, იმ მოთხოვნათა შესრულებაზე კონტროლს, რომლებიც მიეკუთვნება სამუშაოების ხარისხის, გამოყენებული კონსტრუქციების, ნაკეთობების და მასალების, ცალკეული სამუშაოების დეფექტებისა და ნაკლოვანებების აღმოფხრვის საკითხებს;
5.6.12. ობიექტის ექსპლუატაციისათვის მომზადებას და შესაბამისი დოკუმენტაციით უზრუნველყოფას;
5.6.13. ტექნიკური დავალებით განსაზღვრული მიმწოდებლის სხვა ვალდებულებების შესრულების კონტროლს;
5.7. ზედამხედველს უფლება აქვს:
5.7.1. მოითხოვოს მიმწოდებლისგან შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვა და აუცილებელი სამშენებლო დოკუმენტაციის წარმოება;
5.7.2. არ მიიღოს პროექტის დარღვევით ან გადახვევით წარმოებული სამუშაოები, უარყოს დაუდასტურებელ სამშენებლო სამუშაოებზე გადახდის სერთიფიკატის დადასტურება და მოითხოვოს აღნიშნული დოკუმენტის კორექტირება;
5.7.3. აკრძალოს სამშენებლო ობიექტზე უხარისხო სამშენებლო მასალების, ნახევარფაბრიკატებისა და საშენი დეტალების გამოყენება;
5.7.4. გასცეს მითითება და მოითხოვოს უხარისხოდ შესრულებული სამშენებლო სამუშაოების გამოსწორება;
5.8. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.
5.9. შემსყიდველი/ზედამხედველი მიმწოდებელთან ერთად აწარმოებს კონტროლს სამუშაოების მიმდინარეობაზე, თანახმად საქართველოში მოქმედი ყველა სამშენებლო ნორმების, სტანდარტების და წესებისა, რომელთა დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველს გააჩნია უფლება შეაჩეროს სამუშაოები და განახორციელოს კანონით გათვალისწინებული სანქციები.
5.10. მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოების შესრულების დროს გამოიყენოს მხოლოდ ის მასალები, რომელთა ხარისხი შეესაბამება საქართველოში და საერთაშორისო მოქმედ სტანდარტებსა და ნორმებს, ასევე შეასრულოს სამუშაოები ყველა იმ მოთხოვნების და სტანდარტების შესაბამისად, რაც გათვალისწინებულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, მათ შორის, მკაცრად დაიცვას ტექნიკური დავალებით გათვალისწინებული სამუშაოთა წარმოების, საწარმოო უსაფრთხოების და შრომის დაცვის წესები და ნორმები და თავისი საქმინობის სფეროსთვის შესაბამისი ორგანოების მიერ დადგენილი მოთხოვნები/კრიტერიუმები, წინააღმდეგ შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია გამოიყენოს მიმწოდებლის მიმართ პასუხისმგებლობის ღონისძიებები, მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული

შესაბამისი ზომების/სანქციების (შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოების მიერ დაკისრებული) გატარების/გამოყენების მიუხედავად.

6. თანმდევი მომსახურება

6.1 მიმწოდებელი პასუხისმგებელია სამუშაოსათვის გამოყოფილი ადგილის გამოყენებაზე და სამუშაოების დასრულების შემდეგ გარემოს სათანადო აღდგენაზე; ამასთან მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს სამუშაო ადგილის ფარგლებში გარემოზე ეკოლოგიური ზემოქმედების მინიმუმამდე დაყვანა;

6.2. მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოს დასრულებისთანავე გაათავისუფლოს სამუშაო ადგილი მანქანა-მექანიზმებისაგან, მოწყობილობა-დანადგარებისაგან, მასალებისაგან, დროებითი ნაგებობებისაგან და ა. შ.;

6.3. სამუშაოების პროცესში მიმწოდებელი ვალდებულია მინიმუმამდე დაიყვანოს მუშაობით გამოწვეული ხმაურის, ვიბრაციისა და მტვრის გავლენა.

7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

7.1. შესასრულებელი სამუშაოს ვადა: **სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები - 14 (თოთხმეტი) თვე** (ხელშეკრულების გაფორმების დღიდან) - აქედან საინჟინრო სისტემების მიწოდება, მონტაჟის და შესაბამისი სამუშაოების დასრულების ვადაა 12 თვე, ხოლო სისტემების ტესტირების და გაშვების პერიოდია - 2 (ორი) თვე (რაზეც გამოყენებული იქნება ხარისხის გარანტია).

7.2. სამუშაოს შესრულების ადგილია: ქ. თბილისი ანა პოლიტკოვსკაიას ქ. #31;

7.3. მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს სამუშაოების დაწყება ხელშეკრულების გაფორმებიდან - 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში;

7.4. მიმწოდებელმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები უნდა განახორციელოს (7.1 პუნქტით განსაზღვრულ ვადაში) მის მიერ შედგენილი გეგმა-გრაფიკის შესაბამისად;

7.5. შესრულებული სამუშაო და სამუშაოს შესრულებისას გამოყენებული მასალები (საქონელი) უნდა იყოს მაღალი ხარისხის რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს შესაბამის სტანდარტებს და ტექნიკურ ნორმებს და უნდა გააჩნდეს შესაბამისი ხარისხის სერთიფიკატი (შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს სერთიფიკატ(ებ)ის ასლები);

7.6. ხარჯთაღრიცხვაში წარმოდგენილი საქონელი/მასალები კონკრეტული სამუშაოს დაწყების წინ შერჩეული და შეთანხმებული უნდა იქნას შემსყიდველთან.

7.7. შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარება იწარმოებს ეტაპობრივად, მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოების აქტის (ფორმა #2) წარმოდგენის გზით, რომელიც წარმოდგენილი უნდა იქნას ყოველ ჯერზე;

7.8. სამუშაოების შესრულების მიღება-ჩაბარება განხორციელდება შემსყიდველის და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით, ზედამხედველის დასკვნის და სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ ან/და სხვა აკრედიტირებული პირის მიერ გაცემული შესაბამისი დასკვნის (ასეთ შემთხვევაში დასკვნასთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქნას დასკვნის გამცემი პირის აკრედიტაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლიც) საფუძველზე (დასკვნის წარმოდგენის ვალდებულება და შესაბამისი მომსახურების ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს) შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსილ პირ(ებ)ს წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების 5.1. პუნქტში მითითებული პირ(ებ)ი.

7.9. შესრულებული სამუშაოების აქტში (ფორმა #2) მოცემული სამუშაოების ხარისხი, მოცულობა, პროექტთან და ხარჯთაღრიცხვასთან შესაბამისობა დადასტურებული უნდა იყოს ზედამხედველის მიერ;

თუ, ზედამხედველმა შესრულებული სამუშაოები შეაფასა წუნით, მაშინ სამუშაოები არ ჩაითვლება დასრულებულად წუნდების აღმოფხვრამდე და შესაბამისად, არ მოხდება მიღება-ჩაბარების აქტის შედგენა; წუნდების აღმოფხვრა მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს საკუთარი ხარჯებით, შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ ვადაში; წუნდებული სამუშაოების აღმოფხვრა დასტურდება ზედამხედველის მიერ;

7.10. შესყიდვის ობიექტის ტექნიკური და ხარისხობრივი კონტროლი (შემოწმება) გაიმართება, მიმწოდებლის და ზედამხედველის წარმომადგენლ(ებ)ის თანდასწრებით.

7.11. მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმების პარალელურად მიმწოდებელი ვალდებულია წარუდგინოს შემსყიდველს შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია (მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად).
7.12. ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების საბოლოო დასრულება დასტურდება შემსყიდველის, ზედამხედველის და მიმწოდებლის მიერ ერთობლივად დამოწმებული საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტით.
7.12. ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების საბოლოო დასრულება დასტურდება შემსყიდველის, ზედამხედველის და მიმწოდებლის მიერ ერთობლივად დამოწმებული სამუშაოების დასრულების აქტით, რომელიც საინჟინრო სისტემების სამუშაოების დამონტაჟების ნაწილში უნდა გაფორმდეს 12 (თორმეტი) თვის განმავლობაში, ხოლო საინჟინრო სისტემების ტესტირების დადებითი შედეგების შემდეგ არაუვიანეს 2 (ორი) თვის განმავლობაში გაფორმდება საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტი.

8. ხარისხის გარანტია

8.1. შემსყიდველი შესრულებული სამუშაოს ხარისხის გარანტიის უზრუნველყოფის მიზნით ახდენს ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს ღირებულების 5%-ს დაკავებას. თანხის დაკავება იწარმოებს ხელშეკრულების მე-5 პუნქტით სამუშაოების მიღებისათვის განსაზღვრულ დოკუმენტაციაში, გადახდის სერთიფიკატში და საგასახადო ანგარიშ-ფაქტურაში ნაჩვენები თანხის პროპორციულად 5%-ის ოდენობით;
8.2. დაკავებული თანხის გადახდა მოხდება საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების თარიღიდან ერთი წლის შემდეგ, როცა შემსყიდველის უფლებამოსილი წარმომადგენელი და ზედამხედველი დაამოწმებენ, რომ შესრულებულ სამუშაოებში ხარვეზები არ მოიძებნა ან, ასეთების აღმოჩენის შემთხვევაში, ისინი აღმოფხვრილია მიმწოდებლის მიერ;
8.3. იმ შემთხვევაში, თუ, შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ გონივრულ ვადაში მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს შესრულებულ სამუშაოებში გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრას, ან, უარს განაცხადებს მათ აღმოფხვრაზე, შემსყიდველი უფლებამოსილია შეაფასოს ხარვეზების აღმოფხვრისათვის გასაწევი ხარჯი და აანაზღაუროს ის მიმწოდებელზე ხელშეკრულების 8.1. პუნქტის საფუძველზე დაკავებული თანხიდან;
8.4. ხელშეკრულების 8.3. პუნქტით განსაზღვრული გარემოების დადგომის შემთხვევაში, მიმწოდებელს არ აუნაზღაურდება ხელშეკრულების დაკავებული თანხის ის ნაწილი, რომლითაც შემსყიდველის მიერ ანაზღაურდება შესრულებულ სამუშაოებში გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრის ხარჯი;
8.5. თუ, შესრულებულ სამუშაოებში გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრისათვის აუცილებელი ხარჯის თანხა აღემატება ხელშეკრულების 8.1. პუნქტის საფუძველზე დაკავებულ თანხას, სხვაობის ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს;
8.6. თუ, შესრულებული სამუშაოების მოცულობების ღირებულებამ არ შეადგინა მიმწოდებელთან დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა, ასეთ შემთხვევაში, შემსყიდველი გადაუხდის მიმწოდებელს ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მოცულობების ღირებულებას. აღნიშნულიდან გამომდინარე მიმწოდებელს პრეტენზია არ უნდა გააჩნდეს აუთვისებელ სამუშაოთა მოცულობებისანაზღაურებაზე.
8.7. ხელშეკრულების 8.1. პუნქტით გათვალისწინებული შესრულებული სამუშაოს ხარისხის გარანტიის უზრუნველყოფის მიზნით ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს ღირებულების 5%-ის დაკავება გამოიყენება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ყველა (გათბობა-გაგრილება-ვენტილაციის, ხანძარსაწინააღმდეგო, წყალმომარაგება-კანალიზაციის, წყალარინებისა და ელექტრომომარაგება-სუსტი დენების სიტემები, ლიფტების მიწოდება-მონტაჟის) სამუშაოზე.

9. გარანტია

9.1. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული შესრულებული სამუშაოების ხარისხი, სტანდარტები, ტექნიკური პარამეტრები და ძირითადი მახასიათებლები უნდა შეესაბამებოდეს ხელშეკრულებით და მისი დანართებით განსაზღვრულ პირობებს და საქართველოში არსებულ სამშენებლო წესებსა და ნორმებს;

9.2. საგარანტიო ვადის განმავლობაში მიმწოდებელი ვალდებულია, შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ ვადაში, საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ექსპლუატაციის პროცესში გამოვლენილი ისეთი ხარვეზის/წუნის სრული მოცულობით აღმოფხვრა, რომელიც არ არის გამოწვეული ექსპლუატაციის ნორმების დარღვევით, არასათანადო მოპყრობით ან ნორმალური ცვეთით, სრული მოცულობით აანაზღაუროს, როგორც შესაბამისი ხარჯები, ასევე, ხარვეზის/წუნის შედეგად შემსყიდველისათვის მიყენებული ზიანი;

9.3. მიმწოდებელი ვალდებულია, სამუშაოს დასრულებისათვის ხელშეკრულების 7.1 პუნქტით განსაზღვრულ ვადამდე სულ მცირე 2 (ორი) თვით ადრე, გადასცეს შემსყიდველს ყველა ინფორმაცია (მათ შორის საშემსრულებლო ნახაზები) შესრულებული სამუშაოების, მოწყობილი საინჟინრო ქსელების, დამონტაჟებული დანადგარების და მოწყობილობების ექსპლუატაციის და მოვლა-პატრონობის შესახებ. აღნიშნული ინფორმაციის წარუდგენლობის შემთხვევაში, მიმწოდებელი არ იქნება უფლებამოსილი უარი განაცხადოს საგარანტიო მომსახურებაზე ექსპლუატაციის პირობების დაუცველობის მოტივით;

9.4. შესრულებული სამუშაოს სრულფასოვანი ფუნქციონირების საგარანტიო ვადა (საგარანტიო პირობები რომლის განმავლობაშიც მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი ხარვეზების აღმოფხვრა) განისაზღვრება სატენდერო დოკუმენტაციით და ხელშეკრულებით.

9.4.1. ყველა სახის შესრულებულ სამუშაოზე სწორი ექსპლუატაციის პირობებში საგარანტიო ვადაა განისაზღვრება 1 (ერთი) წლით, ხოლო მოწყობილობებზე და დანადგარებზე მინიმუმ 3 (სამი) წელი (ასევე გამოიყენება მწარმოებლის საგარანტიო პირობები). აღნიშნული საგანარტიო ვადების ათვლა დაიწყება საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღიდან.

9.4.2 მიმწოდებელმა საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისას უნდა წარმოადგინოს დანადგარ-მოწყობილობებზე მწარმოებლის მიერ გაცემული საგარანტიო წერილი ან/და შესაბამისი დოკუმენტი, რომელითაც უნდა დასტურდებოდეს დამონტაჟებულ დანადგარ-მოწყობილობების მინიმუმ 3 (სამი) წლიანი გარანტია.

9.4.3. საგარანტიო ვადების ათვლა იწყება მხარეთა შორის გაფორმებული საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის დღიდან, მაგრამ არაუადრეს **საინჟინრო სისტემების** (დანადგარ-მოწყობილობების) **ტესტირების და მათი გაშვების შესახებ** დადებითი შედეგების დადგომისა;

9.4.4. საგარანტიო ვადის განმავლობაში, მიმწოდებელი ვალდებულია, საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს გამოვლენილი დეფექტის/ნაკლის აღმოფხვრა, შეკეთება და/ან შეცვლა შემსყიდველის შეტყობინების მიღებიდან 10 (ათი) - 30 (ოცდაათი) დღის (შესაბამისი სირთულიდან გამომდინარე) განმავლობაში.

10. ანგარიშსწორება

10.1. ანგარიშსწორება მოხდება ლარებში;

10.2. გადახდის ფორმა - უნაღდო;

10.3. ანგარიშსწორების გრაფიკი (მხარეთა შეთანხმებით);

10.4. ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს მოცულობის მიხედვით. გაუთვალისწინებელი სამუშაოების თანხების ხარჯვა მოხდება აუცილებლობიდან გამომდინარე შემსყიდველთან შეთანხმებით;

10.5. მიმწოდებლის მოთხოვნის შემთხვევაში და წინასწარ გადასახდელი თანხის (ავანსი) მიზნობრიობის, ოდენობის და გაცემის პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში (იხ. ხელშეკრულების პუნქტი 11) შემსყიდველის მიერ ანგარიშსწორება განხორციელდება წინასწარ. კერძოდ, შემსყიდველი ავანსად გადაურიცხავს მიმწოდებელს ხელშეკრულების საერთო ღირებულების არაუმეტეს 10%-ს ხელშეკრულების მე-11 პუნქტით განსაზღვრული პირობების დაკმაყოფილების და მიმწოდებლის მიერ ავანსის სახით გადასახდელ თანხაზე საავანსო უპირობო და გამოუთხოვადი საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემდეგ, ასეთი გარანტიის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღეში, დარჩენილი სახელშეკრულებლო თანხის სავარაუდოდ 90%-ის გადახდა მიმწოდებლისათვის განხორციელდება ეტაპობრივად, ზედამხედველის

დასკვნის და სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ ან/და სხვა აკრედიტირებული პირის მიერ გაცემული შესაბამისი დასკვნის (ასეთ შემთხვევაში დასკვნასთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქნას დასკვნის გამცემი პირის აკრედიტაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლიც) საფუძველზე (დასკვნის წარმოდგენის ვალდებულება და შესაბამისი მომსახურების ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს) შემსყიდველი უფლებამოსილია ექსპერტიზის შესაბამის დასკვნის წარმდგენამდე, შესრულებულ სამუშაოზე არ აწარმოოს ანგარიშსწორება;

10.6. წინასწარ გადასახდელი თანხის უზრუნველყოფისათვის გამოიყენება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულების, ან უცხო ქვეყნის საბანკო დაწესებულების, რომელიც გადაზღვეული იქნება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულების მიერ, ან სსიპ „საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის" მიერ ლიცენზირებული სადაზღვევო კომპანიის მიერ გაცემული წინასწარ გადასახდელი თანხის ოდენობის უპირობო და გამოუხმობი გარანტია;

10.7. წინასწარ გადასახდელი თანხის უზრუნველყოფის უპირობო და გამოუხმობი გარანტიის მოქმედების ვადა 2 (ორი) თვით უნდა აღემატებოდეს სამუშაოების მიწოდების საბოლოო ვადას;
10.8. სამუშაოების მიწოდების საბოლოო ვადის გაგრძელების შემთხვევაში (მიუხედავად იმისა ვისი, ან, რა მიზეზით მოხდა აღნიშნული ვადის გაგრძელება), მიმწოდებელი ვალდებულია, შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნიდან 5 სამუშაო დღის ვადაში, გააგრძელოს უპირობო და გამოუხმობი გარანტიის მოქმედება ხელშეკრულების 10.7. პუნქტით განსაზღვრული დროის პერიოდის დაცვით;
10.9. წინასწარ გადასახდელი თანხის უზრუნველყოფის უპირობო და გამოუხმობი გარანტია შემსყიდველს უფლებას უნდა აძლევდეს პირველი მოთხოვნისთანავე, გარანტიის გამცემი დაწესებულებისგან დაუყოვნებლივ, შემსყიდველის მოთხოვნის მიღებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, მიიღოს გარანტიით გათვალისწინებული თანხა;
10.10. წინასწარი საავანო გადახდის მოთხოვნის არარსებობის ან/და წინასწარ გადასახდელი თანხის (ავანსი) მიზნობრიობის, ოდენობის და გაცემის პირობების დაუკმაყოფილების შემთხვევაში ან შესაბამისი გარანტიის არ ან ვერ წარმოდგენის შემთხვევაში, ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად, ზედამხედველის დასკვნის და სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ ან/და სხვა აკრედიტირებული პირის მიერ გაცემული შესაბამისი დასკვნის (ასეთ შემთხვევაში დასკვნასთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქნას დასკვნის გამცემი პირის აკრედიტაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლიც) საფუძველზე (დასკვნის წარმოდგენის ვალდებულება და შესაბამისი მომსახურების ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს). შემსყიდველი უფლებამოსილია ექსპერტიზის შესაბამის დასკვნის წარმოდგენამდე, შესრულებულ სამუშაოზე არ აწარმოოს ანგარიშსწორება;
10.11. ყველა შესრულებულ სამუშაოს (ყველა ეტაპზე რომელზეც გაფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი) თან უნდა ახლდეს შესაბამისი ექსპერტიზის დასკვნა, რომლის ხარჯების გადახდას უზრუნველყოფს მიმწოდებელი.
10.12. ანგარიშსწორება განხორციელდება ზედამხედველის და ექსპერტიზის დასკვნების საფუძველზე, ხელშეკრულების მე-7 მუხლით განსაზღვრული წესით სამუშაოების მიღებიდან და მხარეთა შორის მიღება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან, გადახდის სერთიფიკატის (გადახდის სერთიფიკატი დამოწმებული უნდა იყოს ზედამხედველის მიერ) და საგასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში;
10.13. სახელმწიფო შესყიდვის დაფინანსების წყაროა: 100% - საკუთარი სახსრები (2022-2023 წლის სახსრები)

11. წინასწარ გადასახდელი თანხის (ავანსი) მიზნობრიობა, ოდენობა და გაცემის პირობები

1.1. მოთხოვნის შემთხვევაში შესაძლებელია განხორციელდეს წინასწარი ანგარიშსწორება ხელშეკრულების საერთო ღირებულების არაუმეტეს 10%-ის ოდენობით, რომელსაც შემსყიდველი

მიმწოდებელს გადაუხდის მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისთვის წინასწარ გადასახდელი თანხის ოდენობის უპირობო და გამოუხმობი გარანტიის წარდგენის შემდგომ.

1.2. წინასწარ გადასახდელი თანხას - ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10%-ის ოდენობით, მიმწოდებლისთვის გადახდა შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ ხელშეკრულების ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდების მიზნობრიობით და იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი შემსყიდველს წარუდგენს:

1.2.1. **წერილობით თხოვნას, რომელშიც დეტალურად იქნება დასაბუთებული წინასწარ გადასახდელი თანხის გამოყენების მიზნობრიობა.** წერილში ასევე უნდა ჩანდეს შესაძენი მასალების, აგრეგატების, მოწყობილობების და ა.შ. შეკვეთის ადგილი, მწარმოებელი და ის ვადა, რომელშიც შესაძლებელი იქნება შესაძენი საქონლის ტრანსპორტირების განხორციელება და საქონლის მიწოდების პირობა (CIP, DAF, CIF, DDP და ა.შ.);

1.2.2. მიმწოდებელმა **წინასწარ გადასახდელი თანხის** (ავანსი) **მიღებამდე უნდა წარმოადგინოს** სარეგისტრაციო/უფლებრივი მონაცემების ამსახველი დოკუმენტი, რომ ის არ არის რეგისტრირებული მოვალეთა რეესტრში და მის მიმართ არ არის რეგისტრირებული საგადასახადო გირავნობა ან/და ყადაღა;

1.3. შემსყიდველი უფლებამოსილია არ დააკმაყოფილოს ან ნაწილობრივ დააკმაყოფილოს მიმწოდებლის თხოვნა წინასწარ გადასახდელი თანხის ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10%-ი, გადახდის თაობაზე.

1.4. შემსყიდველის მიერ წინასწარ გადასახდელი თანხის გადახდასთან დაკავშირებით დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოადგინოს წინასწარ გადასახდელი თანხის ოდენობის უპირობო და გამოუხმობი გარანტია.

1.5. წინასწარ გადასახდელი თანხის ოდენობის უპირობო და გამოუხმობი გარანტია გაცემული უნდა იყოს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულების, ან უცხო ქვეყნის საბანკო დაწესებულების, რომელიც გადაზღვეული იქნება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულების მიერ, ან სსიპ „საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის" მიერ ლიცენზირებული სადაზღვევო კომპანის/დაწესებულების მიერ.

1.6. წინასწარ გადასახდელი თანხის ოდენობის უპირობო და გამოუხმობი გარანტია შემსყიდველ ორგანიზაციას უფლებას უნდა აძლევდეს, პირველი მოთხოვნისთანავე, გარანტიის გამცემი დაწესებულებისგან დაუყოვნებლივ, შემსყიდველის მოთხოვნის მიღებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა, ყოველგვარი დასაბუთებისა და დამატებითი მტკიცებულებების წარდგენის საჭიროების გარეშე, მიიღოს გარანტიით გათვალისწინებული თანხა.

1.7. უპირობო და გამოუხმობი გარანტიის მოქმედების ვადა ორი თვით უნდა აღემატებოდეს სამუშაოების მიწოდების საბოლოო ვადას.

1.8. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თეთრ სიაში დარეგისტრირებული მიმწოდებლის შემთხვევაში, წინასწარ გადასახდელი თანხის უზრუნველყოფის უპირობო და გამოუხმობი გარანტიის ოდენობა ნახევრდება;

1.9. წინასწარ გადასახდელი თანხის გადახდა მოხდება უპირობო და გამოუხმობი გარანტიის წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღის ვადაში;

1.10. შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე, როდესაც მიმოწოდებელს დაწყებული აქვს მიზნობრივ ავანსის გამოყენება განახორციელოს მიმწოდებლის მიერ

წინასწარ მიღებული თანხის ხარჯვის მიზნობრიობის შემოწმება და მოსთხოვოს მას მიზნობრივი ხარჯვის დამადასტურებელი შესაბამისი (დამატებითი) დოკუმენტების წარმოდგენა.

1.11. შემსყიდველს უფლება აქვს მოსთხოვოს მიმწოდებელს მიზნობრივი ავანსის ქვეშ შეძენილი საქონლის შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, როგორებიცაა: ა/ფაქტურა, საქონლის გადაზიდვის დოკუმენტაცია - ზედნადები, ინვოისები, თანხის გადარიცხვის დოკუმენტაცია, საბანკო ამონაწერი/გადახდის ქვითრები, განბაჟების დამადასტურებელი დოკუმენტაცია და საჭიროების სხვა ისეთი დოკუმენტები, რომლითაც დადასტურდება საქონლის შეძენა გადაზიდვის ოპერაცია. აღნიშნული დოკუმენტაციის განხილვისას შემსყიდველი იმოქმედებს საკუთარი დისკრეციის ფარგლებში და განსაზღვრავს, თუ რომელი (სრულად ან ნაწილობრივ) ზემოდ ჩამოთვლილი დოკუმენტაცია მოსთხოვოს მიმწოდებელს.

1.12. **ამასთან, მიმწოდებლის მიერ წერილში მითითებული შესაძენი/შეძენილი აგრეგატების, მასალების, მოწყობილობების და სხვ. საქონლის დასაწყობება უნდა მოხდეს შემსყიდველის მიერ მითითებულ სასაწყობე ფართში. აღნიშნულის თაობაზე შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დამატებით მოხდება წერილობითი კომუნიკაცია, საწყობის ადგილმდებარეობის, შესანახი საქონლის რაოდენობის, დასახელების და/ან ა.შ. შესახებ.**

1.13. წინასწარ გადახდილი თანხის გამოქვითვა განხორციელდება ეტაპობრივად, შესრულებული სამუშაოების აქტში (ფორმა #2), გადახდის სერტიფიკატში და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურაში ნაჩვენები ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს ღირებულების პროპორციულად წინასწარ ფაქტიურად გადახდილი თანხის ხელშეკრულების ჯამურ ღირებულებასთან შეფარდებით მიღებული პროცენტის ოდენობით, იმ პირობით, რომ თეთრ სიაში დარეგისტრირებულ მიმწოდებელთან ჯერ გაიქვითება წინანსწარ გადახდილი თანხის საბანკო გარანტიით არაუზრუნველყოფილი ნაწილი;

1.14. შემსყიდველი უფლებამოსილია აამოქმედოს გარანტია და დაიბრუნოს წინასწარ გადახდილი თანხის გამოუქვითავი ნაწილი:

1.14.1. მიმწოდებლის მიერ წინასწარ მიღებული თანხის ხარჯვის არამიზნობრიობის დადგენის შემთხვევაში;

1.14.2 მიმწოდებელთან ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში.

12. ფასები

12.1. ხელშეკრულებაში განსაზღვრული ფასის ცვლილება დასაშვებია მხოლოდ შემდეგ შემთხვევებში:

ა) საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში (დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 %-ზე მეტი ოდენობით გაზრდა);

12.2 ფასების ცვლილების შესახებ ხელშეკრულების მხარემ უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს წერილობით, რომელიც თავის მხრივ უფლებამოსილია არ დაეთანხმოს აღნიშნულ ცვლილებაზე.

13. ფორს-მაჟორი

13.1. ხელშეკრულების, რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ განიხილება ხელშეკრულების პირობების დარღვევად თუ შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოებების შედეგი.

13.2. ამ ხელშრეკრულების მიზნებისათვის ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი მხარეების

შეცდომებთან და დაუდევრობებთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოებები შეიძლება გამოწვეული იქნას საომარი მოქმედებებით ან სტიქიური მოვლენებით.
13.3. ფორს-მაჟორული გარემოების დადგომის შემთხვევაში მხარემ, რომლისათვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. ფორს-მაჟორული გარემოებ(ებ)ის არსებობა უნდა დადასტურდეს კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილი ორგანოს მიერ.

14. მხარეთა ურთიერთობა
14.1. ნებისმიერი ოფიციალური შეტყობინება მხარეთა შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით;
14.2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, თუ ამ თარიღიდან რომელი უფრო გვიან დგება.

15. ხელშეკრულების შესრულების გარანტია
15.1. იმისათვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული რისკი, წარმოქმნილი მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შეუსრულებლობის გამო, გამოყენებულ იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი, საბანკო გარანტია, ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით, რომლის მოქმედების ვადა ორი თვით უნდა აღემატებოდეს შესასრულებელი სამუშაოების საბოლოო ვადას, ამასთან, თუ ელექტრონულ ტენდერში ელექტრონული ვაჭრობის შედეგად გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ით ან მეტით დაბალი იქნება შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე გამოყენებული ხელშეკრულების შესრულების უზრუნვლყოფის გარანტიის ოდენობა განისაზღვრება ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10%-ის ოდენობით.
15.2. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის უპირობო და გამოუხმობადი გარანტია წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულებიდან, ან უცხო ქვეყნის საბანკო დაწესებულებიდან, რომელიც გადაზღვეული იქნება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულების მიერ, ან სსიპ „საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის" მიერ ლიცენზირებული სადაზღვევო კომპანიიდან ეროვნულ ვალუტაში - ლარში, შემდეგი ფორმის დაცვით: დაბეჭდილი გარანტიის გამცემი დაწესებულების ტიტულიან ფურცელზე (ბლანკი), ხელმოწერილი უფლებამოსილი პირის მიერ და ბეჭედდასმული;
15.3. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის უპირობო და გამოუხმობადი გარანტიის თანხა არ უნდა მცირდებოდეს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების ფარგლებში შესრულებული ვალდებულებების პროპორციულად და შემსყიდველს უფლებას უნდა აძლევდეს, პირველი მოთხოვნისთანავე, გარანტიის გამცემი დაწესებულებისგან დაუყოვნებლივ, შემსყიდველის მოთხოვნის მიღებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, მიიღოს გარანტიით გათვალისწინებული თანხა;
15.4. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია გამოიყენება ნებისმიერი ზიანის ანაზღაურების მიზნით, რომელიც მიადგება შემსყიდველს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების გამო, აგრეთვე, შემსყიდველის მიერ პირგასამტეხლოს გამოყენებისა და ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;
15.5. ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელების შემთხვევაში (მიუხედავად იმისა ვისი, ან, რა მიზეზით მოხდა აღნიშნული ვადის გაგრძელება), მიმწოდებელი ვალდებულია, შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში, გააგრძელოს უპირობო და გამოუხმობი გარანტიის მოქმედება ხელშეკრულების 15.1. პუნქტით განსაზღვრული დროის პერიოდის დაცვით;
15.12. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის (ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაზე უარის თქმა, ვალდებულების

უხარისხოდ, არაჯეროვნად, არასრულად შესრულების) შემთხვევაში, მიმწოდებელს საბანკო გარანტიით გათვალისწინებული თანხა არ დაუბრუნდება.
15.13. მიმწოდებელს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველსაყოფად გაცემული საბანკო გარანტია, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრული და ჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, დაუბრუნდება მხარეთა შორის საბოლოო მიღება - ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 5 (სამუშაო) დღის ვადაში.

16. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა
16.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, - ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,02%-ის ოდენობით, ხოლო, თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის - 0,02 %-ს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
16.2. მიმწოდებელს გეგმა-გრაფიკის ყოველი კონკრეტული დარღვევისთვის დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გეგმა-გრაფიკის კონკრეტულ პერიოდში შესასრულებელი სამუშაოების ღირებულების 0,02%-ის ოდენობით;
16.3. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველის, მიმწოდებლისა და ზედამხედველის მონაწილეობით ფორმდება შესაბამისი აქტი, სადაც დეტალურად იქნება აღწერილი ხელშეკრულების შეუსრულებლობის მიზეზები, რის შემდგომაც შემსყიდველის შეხედულებისამებრ შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტირების მექანიზმი. თუ მიმწოდებელის წარმომადგენელი უარს აცხადებს აღნიშნული აქტის შედგენაში მონაწილეობაზე, ხსენებული ფიქსირდება ამავე აქტში და იგი იწვევს იმავე სამართლებრივ შედეგებს, რასაც გამოიწვევდა მიმწოდებლის წარმომადგენლის მონაწილეობით შედგენილი აქტი. სამუშაოების არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია თავისი სახსრებით უზრუნველყოს წუნის აღმოფხვრა დაუყონებლივ;
16.4. არაჯეროვნად შესრულებული სამუშაოების დაფიქსირება ხდება შემსყიდველისა, მიმწოდებლის და ზედამხედველის მიერ შედგენილ აქტში, რის შემდეგაც მიმწოდებელს არ უნაზღაურდება დეფექტებით შესრულებული სამუშაოთა ღირებულება.
16.5. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოების წარმოდგენილი მოცულობები, შემსყიდველის და ზედამხედველის მიერ გადამოწმების შემთხვევაში არ შეესაბამება რეალობას, შემსყიდველი სათანადო აქტის შედგენის შემდეგ არ უნაზღაურებს მას აღნიშნულ სამუშაოთა ღირებულებას და განიხილავს ამ უკანასკნელის პასუხისმგებლობის საკითხს;
16.6. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით განსაზღვრული ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან;
16.7. შემსყიდველს უფლება აქვს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების გამო, შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში, აამოქმედოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის უპირობო საბანკო გარანტია სრული ოდენობით. ამ შემთხვევაში საბანკო გარანტიის ამოქმედება მიმწოდებელს არ ათავისუფლებს შემსყიდველისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისაგან;
16.8. შემსყიდველს უფლება აქვს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების გამო, შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში, აამოქმედოს წინასწარ გადასახდელი თანხის უზრუნველყოფის გარანტია და დაიბრუნოს წინასწარ გადახდილი თანხის გამოუქვითავი ნაწილი;
16.9. გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0,02 %-ის ოდენობით;
16.10. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

17. ხელშეკრულების შეწყვეტა

17.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტის შესახებ;

17.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის და/ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში (მათ შორის ვადების დარღვევის შემთხვევაში), აგრეთვე იმ შემთხვევაში თუ მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ხარისხი არ დააკმაყოფილებს ხელშეკრულებით განსაზღვრულ პირობებს და შემსყიდველის მიერ წუნდებული შესყიდვის ობიექტის შესაცვლელად დამატებით განსაზღვრულ ვადაში არ მოხდება წუნდებული ნაწილის გამოსწორება შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და გამოიყენოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

17.3 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს 17.1 და 17.2 პუნქტებით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის ინიციატორი მხარე ვალდებულია მეორე მხარეს წერილობით აცნობოს აღნიშნულის შესახებ შეწყვეტამდე არანაკლებ 30 (ოცდაათი) დღით ადრე;

17.4 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულების შესრულებისაგან;

17.5 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისთვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან;

17.6. შემსყიდველი უფლებამოსილია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება:

17.6.1. თუ შემსყიდველი დარწმუნდება (მათ შორის, ზედამხედველის დასკვნაზე დაყრდნობით), რომ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ დამატებით განსაზღვრულ ვადებში არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

17.6.2. თუ ხელშეკრულების 16.1. და 16.2. პუნქტების საფუძველზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.5%-ს;

17.6.3. თუ, შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

17.6.4. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

18. გადასახადები და ბაჟები

მიმწოდებელი პასუხს აგებს შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა იმ გადასახადის/გადასახდელის გადახდაზე, რომლებიც გადასახდელია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში.

19. სადაო საკითხების გადაწყვეტა

19.1. ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკებების გზით;

19.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მიმართოს სასამართლოს.

20. დამატებითი პირობები

20.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს - 16 (თექვსმეტი) კალენდარული თვის ვადით.

20.2. მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის და/ან არაჯეროვანი შესრულებისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

20.3. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით;

20.4. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის, შესრულებული უნდა იქყოს ქართულ ენაზე. უცხო ენაზე შედგენილ დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის პრიორიტეტი ენიჭება ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს;
20.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ;
20.6. ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 (ორი) იდენტურ ეგზემპლიარად, თითო ყოველი მხარისთვის.

21. მხარეთა რეკვიზიტები:

“შემსყიდველი“	**“მიმწოდებელი“**
სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელი“	
მისამართი: ქ. თბილისი; კოსტავას ქ. #68	
საიდენტიფიკაციო კოდი: 204 858 163	
საბანკო რეკვიზიტები:	
საკუთარი სახსრები	
გენერალური დირექტორი	

თინათინ ბერძენიშვილი	